



საქმე №1/ზ-139-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

25 ივნისი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გერონტი კახეთელიძე

მოსამართლეები: კახაბერ მაჭავარიანი

მაია ივანიძე

ლიკა ჭილაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებლის: ს.მ.-ს

მსჯავრდებულის: მ.ბ.-ს

თარჯიმნის: ზ.ი.-ს

ადვოკატის: ლ.ა.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ მ.ბ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXXX) მ.ბ.-ს, დაბადებულის 1973 წლის 1 აპრილს (საპასპორტო მონაცემები XXXXXXXXXXXXX), თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის, არასრული საშუალო განათლების მქონის, ნასამართლობის არმქონის, დასაოჯახებელის, რეგისტრირებულის თურქეთში, ა.-ს რაიონი, ი.-ს ქუჩა, ბინა №XX, ფაქტობრივად მცხოვრების გ.-ს რაიონის სოფელ ბ.-ში, ამჟამად პატიმრობაში მყოფის, მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ.ბ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 13 ნოემბერს, დაახლოებით 00:30 საათზე, გ.-ს რაიონის სოფელ ბ.-ში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის მიზნით, მ.ბ.-მ, თავისი ნაქირავები საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიშკართან მეგობარ ქალს ლ.გ.-ს მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში დანით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. დაზარალებული ლ.გ., აღნიშნული ფაქტის შემსწრე მეგობრის, მ.ი.-ს და გამოძახებული ტაქსის მძღოლის ზ.ც.-ს

მიერ გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც სამედიცინო-ქირურგიული ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის განაჩენით:

მ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

მ.ბ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2012 წლის 13 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა **მ.ბ.-მ**.

სააპელაციო საჩივრის თავდაპირველი მოთხოვნა იყო **მ.ბ.-ს** მიმართ, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა. იგივე მოითხოვა დაცვის მხარემ სააპელაციო პალატის სხდომაზე თავის შესავალ სიტყვაში, ხოლო დასკვნით სიტყვაში დაცვის მხარემ მოითხოვა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით დადგენილ მსჯავრდებაში **მ.ბ.-ს** გამართლება და მისი ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ **მ.ბ.-ს** სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა საქმეზე შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ **მ.ბ.-ს** დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ **ლ.გ.-ს** ჩვენებით, მოწმეების: **მ.ი.-ს**, **ზ.ც.-ს**, **დ.კ.-ს**, **მ.ლ.-ს**, **რ.ტ.-ს**, **ხ.გ.-ს**, **კ.ჩ.-ს** ჩვენებებით, 2012 წლის 11 ნოემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, 2012 წლის 14 ნოემბრის **ლ.გ.-ს** კუთვნილი ტანსაცმლის დათვალიერების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №**XXXXXXXX-XXXX/XX/X** და №**XXXXXXXX-XXXX/XX/X** დასკვნებით,

ტრასოლოგიური ექსპერტიზის №XXXX/ტრ. დასკვნით – პალატას დადგენილად მიაჩნია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულს არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 19, 108 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულმა ლ.გ.-მ აჩვენა, რომ მისი და მ.ი.-ს მეგობრობისა და ამ უკანასკნელთან ერთად გვიან ღამით მ.ბ.-ს ნაქირავებ საცხოვრებელ სახლში მისვლის გამო მოუვიდა კონფლიქტი მ. ბ.-სთან, რომელმაც ბოქლომით ჩაკეტა ეზოს რკინის ჭიშკარი, სახლში აღარ უშვებდა მათ და გარეთ გადმოუყარა ჩანთებში ჩალაგებული პირადი ნივთები. მ.ბ. იქცეოდა აგრესიულად, ემუქრებოდა და აყენებდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას. მოულოდნელად, დაკეტილი ჭიშკრის უკან ეზოში მყოფმა მ.ბ.-მ ის „ჯემპრით“ დაითრია, ჭიშკართან ახლოს მიწია და თავი დაარტყა შუბლის არეში, შემდეგ კი ჭიშკრის რიკულებიდან გამოყო მარჯვენა ხელი, მოიქნია და დაარტყა დანა მარცხენა მხარეს მუცელში, რის გამოც იგრძნო ტკივილი. ამის შემდეგ გამოძახებული ტაქსით გადაიყვანეს საავადმყოფოში. აგრეთვე, მოწმის სახით დაკითხულმა მ.ი.-მ აჩვენა, რომ მ.ბ. მას და ლ.გ.-ს ემუქრებოდა მოკვლით, არ შემოხვიდეთ ეზოში, დაინახა, რომ თავდაპირველად მ.ბ.-მ თავი ჩაარტყა ლ.გ.-ს შუბლში, შემდეგ კი ხელი გამოყო ბოქლომით დაკეტილი ჭიშკრის რიკულებიდან და შავტარიანი, ბრტყელპირიანი სამზარეულოს დანა დაარტყა გ.-ს მარცხენა ფერდში, მანამდე მ.ბ.-მ თვითონ მასაც დაუსვა დანა მარჯვენა ხელზე მაჯის მიდამოში, რის გამოც იქვე მეზობელს სთხოვა დახმარება და მისცეს სპირტი და ბამბა. გამოძახებული ტაქსით მან და ტაქსის მძღოლმა ზ.ც.-მ დაჭრილი ლ.გ. გადაიყვანეს ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოში, სადაც ლ. გ.-ს ჩაუტარდა ოპერაცია. მ.ი.-მ აგრეთვე, აჩვენა, რომ ადრე შეესწრო მომენტს, როდესაც მ.ბ. იგივე დანით ემუქრებოდა ლ.გ.-ს. მოწმის სახით დაკითხულმა ზ.ც.-მ დაადასტურა მ. ი.-ს ჩვენება და აჩვენა, რომ იგი სოფელ ბ.-ში, მ.ბ.-ს საცხოვრებელ სახლთან მობილური ტელეფონის მეშვეობით გამოიძახა მ.ი.-მ. ადგილზე რომ მივიდა, ნახა ლ.გ. დაჭრილი იყო მუცლის მარცხენა არეში, ჭრილობიდან სისხლი გარეთ არ გადმოდიოდა და მიხვდა, რომ შიგნით, ორგანიზმში იღვრებოდა. მ.ი.-მ უთხრა, რომ ლ.გ. დანით დაჭრა მ.ბ.-მ. იგივე დაადასტურა ლ.-მაც. თვითონ მ.ბ. იყო ეზოს შიგნით, იქცეოდა აგრესიულად და ცდილობდა ჭიშკრის გაღებას. მან და მ. ი.-მ დაჭრილი ლ.გ. პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოწმის სახით დაკითხულმა, სოფელ ბ.-ში მეზობლად მცხოვრებმა დ.კ.-მ აჩვენა, რომ ეძინა და გააღვიძა ხმაურმა. გარეთ რომ გავიდა, ნახა, დაჭრილი ქალბატონი იჯდა ტაქსიში და ტიროდა, შემდეგ ის წაიყვანეს ტაქსით. გარეთ გასულმა, აგრეთვე, ნახა მ.ბ., რომელიც დადიოდა ეზოში, იგინებოდა თურქულად და ხელში ეჭირა დანა. შემდეგ მ. შევინა სახლში, ისევ გამოვიდა, უნდოდა ბოქლომის გაღება, შემდეგ კი ჩაქუჩით გატეხა ბოქლომი. კ.-მ ასევე დაადასტურა მ.ი.-ს ჩვენება, რომ ამ უკანასკნელს მისცა სპირტი და ბამბა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ვერ გაიზიარებს მ.ბ.-ს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, რომ ლ.გ.-ს და მ.ი.-ს სურდათ ეზოში შეჭრა, ჩაკეტილ ჭიშკარში შესვლა, რის გამოც, მათი შეშინების მიზნით, გამოყო დანიანი ხელი ჭიშკრიდან და იქნევდა აქეთ–იქით, რა დროსაც შემთხვევით დაჭრა ლ.გ.. აღნიშნული ჩვენება არ დასტურდება ზემოხსენებული მტკიცებულებებით და აშკარად მოკლებულია დამაჯერებლობას, კერძოდ, გაუგებარია, რა საფრთხე მოელოდა ბოქლომით დაკეტილი რკინის ჭიშკრის უკანა მხარეს ეზოში მდგარ მ.ბ.-ს ქუჩაში მყოფ ლ. გ.-სგან და მ.ი.-სგან, ან როგორ უნდა შეჭრილიყვნენ ისინი ბოქლომით ჩაკეტილ ჭიშკარის გავლით სახლის

ეზოში. ამდენად, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულის ჩვენება არის დამაჯერებლობას მოკლებული, არაგულწრფელი და მიმართულია პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისაკენ. ამასთანავე, მ. ბ.-ს ჩვენება წინააღმდეგობაშია საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებთან. პალატა, აგრეთვე, ვერ გაიზიარებს სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას, ბ.-ს გ.-ს მოკვლის განზრახვა რომ ჰქონოდა, არც ჭიშკარს ჩაკეტავდა და არც წასვლისკენ მოუწოდებდა დაზარალებულს და მის თანმხლებ პირს. ამასთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ მკვლელობის განზრახვა შესაძლებელია წარმოიშვას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული იმწუთიერი კონფლიქტური სიტუაციის პროცესში, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი მ.ბ.-სა და ლ.გ.-ს შორის. რაც შეეხება დაზარალებულის ჩვენებას, რომ, მისი აზრით, მ.ბ.-ს არ სურდა მისი სიკვდილი, ჭიშკარი ღია რომც ყოფილიყო, არა ჰგონია მ.-ს განმეორებით დაერთყა დანა, აღნიშნული წარმოადგენს დაზარალებულის მოსაზრებებს, მის ვარაუდს და ვერ ჩაითვლება მსჯავრდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, მითუმეტეს სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობასთან მიმართებაში. საქმეზე წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით კი პალატას დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა მ.ბ.-მ სრულიად გამიზნულად დაარტყა დანა ლ.გ.-ს მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში, სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო ადგილზე. საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXX-XXXX/XX/X დასკვნის მიხედვით, „ლ.გ.-ს აღენიშნებოდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში. ოპერაციულად დაუდგინდა შემავალი ჭრილობა მუცლის ღრუში, დიდი ბადექონის და წვრილი ნაწლავის ჯორჯლის დაზიანებით, ჰემოპერიტონეუმი. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო.“ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა მ.ლ.-მ აღნიშნა, რომ მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა არის სიცოცხლისთვის სახიფათო.

სააპელაციო პალატა ასევე არ ეთანხმება სასამართლოს სხდომაზე დაცვის მხარის დასკვნით სიტყვაში გამოთქმულ მოსაზრებას მ.ბ.-ს მიერ არა მკვლელობის მცდელობის, არამედ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გაუფრთხილებლობით ჩადენის თაობაზე, ვინაიდან მ.ბ.-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების არამარტო სიმძიმე, არამედ ლოკალიზაცია სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო მიდამოში, მსჯავრდებულის ქცევა დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენის მომენტში და მის შემდგომ – ადასტურებს იმას, რომ მისი ქმედებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური თვალსაზრისით შესაძლო შედეგს (მხედველობაშია დაზარალებულ ლ.გ.-ს სიკვდილი) იგი უცილობლად ითვალისწინებდა. სააპელაციო პალატა სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს სწორ სამართლებრივ შეფასებას იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ქმედებაში სახეზეა განზრახ მკვლელობის მცდელობა პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც მსჯავრდებულს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მისი მოქმედების შესაძლო შედეგს – დაზარალებულის სიკვდილს, სურდა ამ შედეგის დადგომა და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (დაზარალებულის სიკვდილს). მ.ბ.-მ დაზარალებულს სრულიად შეცნობილად მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოს მიდამოში, რა დროსაც იგი ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლო დადგომას. საქმეში არსებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის

საფუძველზე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ.ბ.-ს თავისი დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაში ხელი შეუშალა სხვადასხვა გარემოებებმა, კერძოდ, ბოქლომით დაკეტილმა ჭიშკარმა, შემთხვევის ადგილზე გარეშე პირების მისვლამ, დაზარალებულის დროულად განრიდებად შემთხვევის ადგილიდან, რის გამოც დანაშაული შეწყდა ადრეულ ეტაპზე – მცდელობის სტადიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ მ.ბ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება ლ.გ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობაში უტყუარად არის დადასტურებული საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით. საქმის მასალებით სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ 2012 წლის 13 ნოემბერს გ.-ს რაიონის სოფ. ბ.-ში, თავისი ნაქირავები საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიშკართან მ.ბ.-მ ჩაიდინა ლ.გ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

ამავე დროს, პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო საჩივარში, დაცვის მხარის შესავალ და დასკვნით სიტყვებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულყოფილად, ვინაიდან არ შემოწმებულა მოწმეთა ჩვენებების სინამდვილე, არ ჩატარებულა საგამოძიებო ექსპერიმენტები, არ ამოღებულა მ. ბ.-ს, ლ. გ.-ს, მ.ი.-ს, ზ.ც.-ს კუთვნილ ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარები, შეტყობინებები და სხვ. ამასთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა, მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, შესაბამისად, ვერავინ აუკრძალავს მხარეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ამავე კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, „მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება“. აგრეთვე, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა“. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა – მ.ი.-მ, დ.კ.-მ, ზ.ც.-მ აჩვენეს, რომ შემთხვევის ადგილზე იყო საკმარისი განათება, რათა დაენახათ და აღექვათ ფაქტები და მოვლენები. სინათლე გამოდიოდა როგორც მეზობლად მცხოვრები დ.კ.-ს სახლიდან, ისე მ.ბ.-ს ნაქირავები სახლიდანაც, რომლის კარებიც ღია იყო. ასევე მ.ი.-მ და ზ.ც.-მ აჩვენეს, რომ დაჭრილი ლ.გ. ტაქსით შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს და გზაში არსად გადაუხვევიათ. ამდენად, დაცვის მხარის მოსაზრებები, რომ შემთხვევის ადგილზე განათების არ არსებობის გამო შეუძლებელი იყო ბ.-ს ხელში დანის დანახვა, გამოძიებას და სასამართლოს არ გაურკვევიათ, სად იმყოფებოდნენ ლ. გ., მ.ი. და ზ.ც. ღამის 02:00 საათიდან 04:30 საათამდე (დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანისას დაფიქსირებული დრო) – წარმოადგენს მხოლოდ დაცვის მხარის ეჭვებსა და ვარაუდებს, რომლებიც შესაბამისი მტკიცებულებებით არ არის გამყარებული და დაცვის მხარეს

მოწმეების ზემოაღნიშნული ჩვენებების საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება არც პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე და არც სააპელაციო ინსტანციაში არ წარმოუდგენია.

ამდენად, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზებისა და შეფასების შემდეგ პალატა თვლის, რომ მ.ბ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია და მისი ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია სწორია. სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი, საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის, ასევე მ.ბ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ მ.ბ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით.

რაც შეეხება აღნიშნულ სასჯელს, აღნიშნულს პალატა დასაბუთებლად მიიჩნევს და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინა მისი პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ისე დაუნიშნა სასჯელი, რაც პალატის დასკვნით არ არის უსამართლო და სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მხედველობაში იღებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ასახულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ, მ.ბ.-ს წარსულ ცხოვრებას, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ (შეურიგდა დაზარალებულს), აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ აუნაზღაურა დაზარალებულს მკურნალობის ხარჯები. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მ.ბ.-ს არ გააჩნია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ მ.ბ.-ს მიმართ არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო აღნიშნული სასჯელი არის სამართლიანი. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი მ.ბ.-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ.ბ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის განაჩენი მ.ბ.-ს მიმართ, დარჩეს უცვლელი.

მ.ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

მ.ბ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან - 2012 წლის 13 ნოემბრიდან.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ.ბ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმებულია.

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, მმ.ზუბალაშვილების ქ.№32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

/გ. კახეთელიძე/

მოსამართლეები:

/კ. მაჭავარიანი/

/მ. ივანიძე/